წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

შაბათი 16 ივლისი

# სამშობლო

№ 406

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 14 ივლისიდან ნაჩვენები იქნება:

ინგლისელთა ჯარი მოსკოვში

ბუნებრივი, სკობელევის კომიტეტისა.

**ოქროს ოცნების სიზმარი**

ფლორენტიული ლეგენდა 4 ნაწილად მხატვრულად დადგმული გომონის ფაბრიკისა, ქ-ნ სუსანა დელვეს და ბ-ნ ტალვას მონაწილეობით. მთელი სურათი ფერადებითაა შესრულებული.

გადაცმულის თავგადასავალი.

სახუმარო.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 14 ივლისიდან ნაჩვენები იქნება:

**გომონის ქრონიკა.** მიმდინარე ამბები.

**ნევის პროსპექტი**

დრამა ოთხ ნაწილად ნ. ვ. გოგოლის მოთხრობის მიხედვით.

მზარეული ქალის შურისძიება.

სახუმარო.

## განცხადება.

სადგურ რიონზე **დავკარგე** რედიკიული, რომელშიაც მქონდა მეტრიკული, მოწმობა სხვადასხვა ქაღალდები და ათი მანეთი ფულად. მპოვნელს ვსთხოვ ფული მიიღოს და მოწმობები კი დამიბრუნოს, მლიერ საჭიროა. ყოველ შემთხვევაში კიდევ საჩუქარს მიიღებს 10 მანეთს. ივლიტა სიმონის ასული ტროიან-ნეზაბუტოვსკაია.

ადრესი: რედაქცია „სამშობლო".

**იძლევა იჯარით** ჩემ მიერ იჯარით აღებული სადორიის აგარაკზე **სანზოვო მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

**პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში,**

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.

მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

**აძლევს გაკვეთილებს**

**ფრანგულ ენისას.**

იკითხეთ „სამშობლოს" რედაქციაში.

**დ. ლაილაში.**

კბილის ექიმი

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს.

სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება: შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების დილის 9—12 საათ. და საღ 6—8 საათ.

8-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. **„სამშობლოს"** რედაქც.

**ვიყვან მოწაფეებს** ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.

ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აბოინის ქუჩა, სახლი დიმიდოვის, სტუდენტი 244 ა. ზ. თელაია. თვ.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

## მსოფლიო ომი.

### დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.**

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი** 13 ივლისი სად. ზამირიეზე 62 მტრის ჰაეროპლანმა 32 ყუმბარა ჩამოაგდო, სად. კოგარელცაზე 112 ჰაეროპლანმა 17 ყუმბარა ჩამოაგდო 12 ივლისს ღამე ბარანოვიჩის სამხრეთ აღმოსავლეთით დაბა ვონკასთან მტრის ერთი როტა მდ. შარაზე გადმოვიდა და ჩვენ მართულის ხლართებს მოუახლოვდა მაგრამ თოფითა და ტყვიის მფრქვევლების სროლით განვდევნეთ. მდ ოლონიევკის (სტირის ერთვის) მიდამოებში ჩვენი ჯარი მდინარის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და მტერი სდევნა. მოწინააღმდეგე დიდად დაზარალდა. ჩვენ დავატყვევეთ 62 აფიცერი და 40000 ჯარის კაცი, დავლათ დაგვრჩა 5 ზარბაზანი, 6 ტყვიის მრფქვეელი, 12 ყუმბარის ყუთი და სხვა.

**კავკასიის ასპარეზი.**

12 ივლისს ჩვენმა მამაცმა ჯარმა გენ. იუდენიჩის ხელმძღვანელობით ბრძოლით დაიპყრო ქალ. ერმინჯანი, რითაც დასრულდა სომხეთის დაპყრობა.

**პარიზი.** 13 ივლისი. შუადღის ოფიციალური ცნობა. მდ. სომმის ბრძოლის ხაზზე ღამემ წყნარად ჩაიარა. იმ ბრძოლის განმავლობაში, რომლის დროსაც რამდენიმე გამაგრებული სახლი ავიღეთ ესტრეს სამხრეთით, ჩვენ დავატყვევეთ 117 კაცი, ხელთ ვიგდეთ სამი ზარბაზანი და დიდძალ სამხედრო მასალა, რომელიც ჩვენ 7 ივლისს სუაკურის ჩრდილოეთით დაპყრობილ ადგილში აღმოვაჩინეთ ამნაირად ამ დღის განმავლობაში ჩვენ წამოგვიღია 6 ზარბაზანი. მაასის მარჯვენა ნაპირზე, ფლერის ნაწილში არტილერია მძლავრად მოქმედებდა. და სეტფონის ნიშის ჩრდილოეთით გერმანელთა რაზმებს დავუშინეთ და გავფანტეთ. მფრინავთა მოქმედება. 12 ივლისის ღამეს ტინენ რომშახის მტრის სიმაგრეებზე ერთმა ჩვენმა საჰაერო ესკადრამ 40 ცალი 120 მილიმეტრიანი და ორი 200 მილიმეტრიანი ყუმბარა ჩამოაგდო. შეასრულარა ეს ესკადრა გაემართა სამხედრო მასალის წინანდელ საწყობის ოკონ—დიურნის გასანადგურებლად. იმავე ღამეს ამ საწყობში 38 ყუმბარა, ხოლო სად. ვილიაზე კობრიელის ბივუაკებზე დახნევუს ახლოს 29 ყუმბარა ჩამოყარეს.

**ლონდონი** 13 ივლისი ბრიტანიის მთავარი ბინის დამატებით ცნობა საფრანგეთიდან. მდ. სომმის ასპარეზზე გერმანელებს ახალი დამხმარე ქვეითა ჯარი და არტილერია მისვლია. მთელი დღის განმავლობაში გერმანელები განუწყვეტლივ ისროდნენ ზარბაზნებს, ხოლო დროდა დრო სროლაა მკაცრდებოდა. როგორც წინა ცნობაში იყო მოხსენებული, შუა დღისას იერიში მიიტანეს ინგლისელებზე. იერიშის წინ მათ ცეტრში არტილერია მძლავრად ამოქმედდა. მიუხედავად ამისა იერიშები მოგერებულ იქნენ არტილერიის და ქვეითა ჯარის დაჟინებული სროლის წყალობით. გერმანელები ვერსად ვერ მიუახლოვდენ ინგლისელების სანგრებს და დიდად დაზარალდენ. დანარჩენ ასპარეზზე ბევრ ალაგას ხელ ჩართული ბრძოლა მოხდა; ინგლისელების ქვეითა ჯარმა ზოგან წინ წაიწია. ინგლისელებმა ხელში ჩაიგდეს ორი ტყვიის მფრქვეველი და ტყვეები. მათ რიცხვებში ორი ბატალიონის უფროსი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

— —

გერმანიის კანცლერს ბატმან-ჰოლვეგის საუბარს სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებთან, როგორც სჩანს შესაფერი ნაყოფი გამოუღია. ამ დღეებში გერმანიის სოცაპლდემოკრატთა ცენტრალურ ბიუროს მოუწვევია პარტეიტაგი. რადიკალ სოციალ-დემოკრატებს ეხლავე გადაუწყვეტიათ არ დაუქვემდებარდნენ პარტეიტაგის დადგენილებას და დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოვონ.

— —

თურმე გერმანელები თავის სავაჭრო გემებს სხვა ფერებით ღებავენ, რომ მოკავშირეთა გემებმა ნეიტრალურ სახელმწიფოთა გემებათ მიიღონ და თავისუფლად გაუშვან

— —

ფრანგებს ლიონში რუსული საეკლესიო გალობის კონცერტი მოუწყვიათ. ხალხი მეტად კმაყოფილი დარჩენილა კონცერტით.

— —

შაქრის რაოდენობის შემცირების გამო გერმანიაში ეხლა სულზე გასაცემი შაქარი კიდევ შეუმცირებიათ.

— —

ამერიკულ გაზეთბის ცნობილ კორესპონდენტის სიტყვით წლეულს მოსავალი გერმანიაში მცირე იქნება.

— —

ქ. კიოლნში სურსათის სიმცირის გამო მღელვარება მომხდარა.

— —

რუმინიაში ეხლა დიდი მოძრაობაა ხალხი გაიძახის: „ჩვენ მეფეს ალაგი არ უნდა ჰქონდეს პატარა რუმინიაში" იგი უნდა „დიდ რუმინიაში" გადასახლდესო.

— —

ბრატიანს ერთი კორპუსი ჯარი შეუკრებია ბუქარესტის მიდამოებში. ბრატიან არც ერთ ჟურნალისტს არ ესაუბრება. მხოლოდ მისი თანამოაზრე თანამშრომლები იგავებით აძლევენ პასუხს გაზეთის თანამშრომლებს მათ კითხვაზე

— —

ბრატიანუს ინგლისისთვის ნება არ მიუცია რუმინიაში ნაყიდ 35 ათას ვაგონი ხორბალი გაიტანოს.

— —

„ბირჟ. ვედ". კორესპონდენტის სიტყვით მიუხედავათ დიდი ამბებისა რუმინია მაინც არ ჩაერევა ომში: ამ ჟამად მას მხოლოდ 350,000 ჯარისკაცი ყოლია შეიარაღებული

— —

იტალიაში სხვა და სხვა საზოგადო ორგანიზაციები მოითხოვენ ომი გამოუცხადონ გერმანიას.

— —

ავსტრიაში ჩეხელების დევნა იქამდე მივიდა რომ ფუტბოლის მოთამაშეთა კლუბიც კი დახურეს, რომლის წევრებათ ჩეხელები იყვნენ.

— —

რუმინიასა და ავსტრია-გერმანიას შორის 1914 წელში დადებულ ხელშეკრულობის ძალით თუ რუმინია ბოლომდის ნეიტრალიტეტი დიაცვა, ავსტრიისაგან ტრანსილვანიას მიიღებს.

— —

მოკავშირეებს ბრძანება გაუციათ რათა სალონიკიდან გაყვანილ იქნეს ბერძენთა მეციხოვნე ჯარი.

— —

ამერიკაში მოსულა გერმანიის მეორე სავაჭრო წყალქვეშა გემი „ბრემენი", ხოლო პირველა ნთქელითა და კუჩუკით დატვირთთლ უკვე გამოსულა ზღვაში.

— —

გერმანიაში ეხლა უფრო დაჟინებით ლაპარაკობენ კანცლერის გადაყენებაზე.

— —

1914 წ. ნოემბერში უნგრეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს გრ. კაროლის და გრ. აპონის ფრანც-იოსებისთვის მოხსენება წარუდგენიათ, რომლითაც დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებას მოითხოვდნენ.

— —

ჰააგიდან იტყობინებიან, რომ რამდენიმე გერმანელთა გემი ჰოლანდიაში დაკავებული ღამე გაპარულა და ნავსადგურ ემდემისაკენ წასულა.

— —

ბერძნული გაზეთები სწერენ: იმ დროს როდესაც მოკავშირეები ვენიზელოსისტებს დიდ მფარველობას უწევენ ავიწროვებენ მის მოწინაღმდეგეებს. მოკავშირეები ყველაფერს კანტროლს უწევენ საბერძნეთს და ამით ავიწროვებს მის თავისუფლებასო.

— —

ფრანგულ გაზ. „მატენ"-ის სიტყვით ეხლა ომის ახალი ხანა დადგა. გერმანია მოგერიებით ტაქტიკას დაადგა და მას უკვე ძალა აღარ შესწევს შეტევითი ომის საწარმოებლად.

— —

მეორე ფრანგული გაზ. „პტი პარიზიენი" სწერს, მოკავშირეთა წმინდა მიზანი-დამონავებულ ხალხის განთავისუფლება მაშინ იქნება მიღწეული, როცა ავსტროუნგრეთი განადგურებული იქნებაო.

— —

გაზეთების ცნობით ნიშნებია იმისა, რომ ჩრდილოეთ ზღვაში დიდი ბრძოლა უნდა მომხდარიყოს.

— —

უნგრეთის პირველ მინისტრს ოპოზიციის წარმომადგენლებისათვის ბრძოლის პირების მდგომარეობა განუმარტავს და დაუწყნარებია ხალხი

— —

გერმანიის გაზეთები დაწვრილებით განმარტავენ ეხლანდელ მდგომარეობას სხვადასხვა ასპარეზზე და დასძენენ, რაც უნდა მარჯვედ მოიქცეს რუსეთი და ერთი წლის განმავლობაში სულ წინ იაროს, ბევრს ვერას გააწყობსო; ამ ხნის განმავლობაში ჯარს სულ ჩვენს სიმაგრეებს შეაწყვეტავს და კარპატებ-ვისლის ხაზს ვერ გადმოსცილდება და ჩვენ სიმაგრეთა ხაზს ვერ გაარღვევსო.

იგივე გაზეთები აღნიშნავენ, ტყუილად სცდილობენ ინგლისელები. მათი წინსვლა, მხოლოდ დროებით გადაარჩენს საფრანგეთს სრულ კაპიტულიაციასაო. საფრანგეთს მთლად გამოვსწუწნეთ სისხლი ვერდენთან.

— —

რუსეთის სამხედრო მინისტრს შუვაევს განუცხადებია ჟურნალისტებისათვის, შემოდგომაზე ომი არ გათავდება და ფუჭია ამაზე ოცნებაო.

— —

უნგრელები გამალებით ამაგრებენ რუმინიის საზღვრებს, ბანატში აუარებელი სამხედრო მასალა მოსულა.

— —

გერმანიაში სამი ცნობილი სოციალისტი ეხლახან ბრძოლის ველიდან დაბრუნებულნი დაუტყვევებიათ.

— —

ქ. იასაში გერმანიიდან ორი მატარებელი მოსულა რუმინიისთვის სამხედრო მასალით დატვირთული.

## სამხედრო მიმოხილვა.

ამ ბოლო დროს ბრძოლები შედგა კვლავ, ასპარეზები კვლავ სიჩუმემ მოიცვა და არტილერია და ჰაეროპლანები ლა განაგრძობენ მოქმედებას. საერთოდ წლევანდელი ბრძოლები არ წააგავს წინანდელებს. წლეულ ბრძოლებმა სულ სხვა ხასიათი მიიღეს. დაწყებული ვერდენის ოპერაციიდან მოკავშირეთა უკანასკნელ შეტევამდე ბრძოლებს ერთნაირი ხასიათი აქვს და ყველა ეს ბრძოლები არსებითად განირჩევიან შარშანდელ და შარშანწინდელ ბრძოლებისაგან.

წინა წლებში მებრძოლი მხარე მიზნად

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** გერმანელთა ჰაეროპლანების თარეში გახშირდა. 62 ჰაეროპლანს სად ზამირიეზე 32 ყუმბარა ჩამოუგდია, სად. პოგორელცას 112 ჰაეროპლანი დასცემია და 71 ყუმბარა ჩამოუგდია.

ბარანოვიჩის სამხრეთ აღმოსავლეთით გერმანელთა ერთი როტა წინ წამოსულა, მაგრამ რუსებს მოუგერებიათ, სტირზე რუსებს წინ წაუწევიათ, მდ. ოლონიევკა გადაულახავთ, უდევნიათ მტერი და დიდი ზარალი მიუყენებიათ. რუსებს დაუტყვევებიათ 62 აფიცერი და 40000 კაცნ.

**კავკასიის ასპარეზი.** რუსებს ქ. ერძნჯანი ბრძოლით აუღიათ.

**დასავლეთის ასპარეზი.** ვერდენთან გახურებული საარტილერიო ბრძოლაა. ფრანგთა მფრინავებს 120—200 მილიმეტრიანი ყუმბარები ჩამოუყრიათ გერმანელთა სიმაგრეებზე. მდ. სომმის ასპარეზზე გერმანელებს დამხმარე ძალები მისვლიათ. საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიში მიუტანიათ, მაგრამ ინგლისელებს მოუგერებიათ.

ისახავს და მოწინააღმდეგის მიწაწყლის დაკავებას, მის ცენტრის მიღწევას და ამნაირად მისი შესუსტებას.

ასეთი იყო გერმანელების მიზანი როდესაც მათ ომის პირველ წელში პარიზისკენ გაილაშქრეს, როდესაც რუსეთისკენ გამოილაშქრეს და როდესაც სერბეთ იპყრობდაენ.

ყველა ზემოხსენებულმა ბრძოლებმა დაარწმუნა გერმანია, რომ რაც უნდა შორს შეიჭრას მოწინააღმდეგის მიწაწყალზე, იგი მაინც ვერ მიაღწევს მიზანს, ვერ დააუძლურებს მას სამუდამოდ მას, ვერ აალებიებს მას ხელს წინააღმდეგობაზე.

გერმანეთმა ბელგია მთლად დაიპყრო, მაგრამ განა ბრძოლაზე ხელი აიღეს ბელგიელებმა და, პირიქით, უფრო გამეტებით არ ებრძვიან სამშობლოს დაკარგვისათვის! ასევე მოიქცა განადგურებული სერბეთი. მიუხედავათ იმისა, რომ გერმანეთმა მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის მიწაწყლისა დაიპყრო რუსეთმა მაინც შესძლო თავის სამხედრო ძალების აღდგენა-მოღონიერება, წლის თმვზე თვითოე შეუტია გერმანეთს და საგრძნობი ზარალი მიაყენა.

ამნაირად ერთხელ კიდევ დამტკიცდა ის აზრი, რომ ტერიტორიის ჩამოჭრას თავის თავად იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, თუ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა განადგურებას გადარჩა.

ამიტომაც იმავე გერმანიამ, ახალ ბრძოლის ხერხს მიმართა: მოწინააღმდეგის მნიშვნელოვან პუნქტს შეუტია და, დაუსახა რა საფრთხე ციხეს, თავისთვის ხელსაყრელ პირობებში ჩააბა ბრძოლაში მოწინამღდეგე. დღეს, როდესაც ორივე მებრძოლი მხარე უფრთხილდება ცოცხალ ძალას მხოლოდ ამისთანა ბრძოლა იქნება მიზანშეწონილი. ასეთი ხასიათისა, დღეს მოკავშირეთა შეტევა სომმის ასპარეზზე და ასეთივე ხასიათი მიიღო ლუცკის ბრძოლებმა.

შვერელი.

## ქართული პრესა.

სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ ს. ქარელიდან (გორის მაზრა) იქაურ კოოპერატივში ქარელის ქართველთ ებრაელები წევრად არ მიუღიათ. შეიძლება ეს სამწუხარო მოვლენა რამდენიმე კაცის საქციელით იყოს გამოწვეული და აქ ქართველობა არაფერ შუაშია, მაგრამ მაინც არ შეგვიძლია არ გავიზიაროთ „სახალხო ფურცლის" სამართლიანი გულის წყრომა, რომელსაც ასე გამოსთქვამს ეს გაზეთი.

საქმე ისაა, რომ ამ კოოპერატიულ დაწესებულების გარეშე დარჩენილან ქარელში მცხოვრები ებრაელები, რომელთა რიცხვი სამოცდა თუქსმეტ კომლამდე ადის. თვით დამფუძნებელი კრება ისე მომხდარა, რომ ებრაელებისათვის არ მიუმართნიათ, არაფერი შეუტყობინებიათ და განგებ გვერდი გადუხვევიათ ასეთი საქციელი ქარელის კოოპერატივის მოღვაწეებისა ფრიად სამწუხარო და დასაგმობია. ქართველობამ მთელი თავის ხანგრძლივ ისტორიის განმავლობაში განთქმული იყო სხვათა უფლების და რელიგიის პატივცემით, შემწყნარებლობით. მთელ მსოფლიოში დევნილი ერი—ებრაელობა ჩვენში კანონის წინაშე თანასწორი ყოფილა და არავითარ შეზღუდვას არ განიცდიდა. ეს იყო და არის ქართველი ერის კეთილშობილი ტრადიციას, რომლიც ფრიად ძვირფასია და ამ ტრადეცია არ უნდა ვღალატობდეთ, ფეხით არ უნდა გავთელოთ ის კარგი და სასარგებლო, რაც ჩვენს წინაპრებს მემკვიდრეობად გადმოუციათ. ქარელის ქართველობა კი როგორ მოქცეულა, ცდილა იგი თავისს პირვანდელი შეცდომის გამოსწორებას? პირიქით, როდესაც ქარელის ებრაელებს მიუმართავთ თხოვნით, კოოპერატივში მიგვიღეთო, პირდაპირ საოცარი პასუხი მიუღიათ: ვერ მიგიღებთ, რადგან ყოველი ებრაელი ჩარჩიაო." განა ამისთანა თქმა შეეფერება შეგნებულ ადამიანებს და იმას, ვინც ცოტაოდნად მაინც პატივცემულია თავის და სხვისი ეროვნულ თავმოყვარეობისა? განა ებრაელობა, ან სხვა რომელიმე ეროვნება შეიძლება რომელიმე განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფად დავსახოთ და ვსთქვათ: ეს ერი ჩარჩია, ის ვაჭარი, მესამე კიდევ მიწის მხვნელიო? ან კი რად მოუნდომებია ქართველ ებრაელთა ურთიერთობაში ასეთი დისონანსის შეტანა ქარელის ქართველობას, ძნელი გამოსაცნობია.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთი სამარცხვინო მოვლენა აღარსად გამეორდება საქართველოში და ჩვენ ჩაგრულ თანამოძმეთ ყოველთვის გაუწვდით ძმურად ხელს.

## შენიშვნა,

ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს „მეგობართან" კამათისა, მხოლოდ გვინდა ერთი ფაქტიური შენიშვნა მივცეთ ამ დარბაისელ გაზეთს, იმ ბრალდების გამო, რომელსაც იგი ჩვენ გვდებს:—ვითომც ჩვენ გამოგვეწვიოს ნიკოლაძე—ზდანოვიჩის გარშემო ატეხილი განგაში!

ასეთი განცხადება წმინდა წყლის ცილისწამებაა!

ბ-ნ ნიკოლაძის პასუხი გამოიწვია იმ სულელურმა და უტაქტო შეკითხვამ, რომელიც პირველად დაიბეჭდა „მეგობარში" ბ-ნ ნიკოლაძისადმი „ღია წერილის" სახით.

ეს კარგად იცის ქართველმა საზოგადოებამ და ესევე უნდა იცოდეს შთამომავლობამ, როცა იგი მოინდომებს თითოულ ჩვენთაგანის გასამართლებას.

## ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

ხუთშაბათ ღამის 12 საათზე ვიღაცებმა სროლა ასტეხეს. ხალხი ძალზე შეშინდა და დაფრთხა.

✦ 9 ივლისს სოფელ სვირში სალდათი ერასტი ცაკაძის ცოლმა ნადეჟდამ, რომელიც კაი ხანია რაც შეშლილია, გაეკიდა დანით თავის დედას გაიანა, სამხარაძეს და მისცა 15 ჭრილობა, დაჭრილი იმ დღესვე გარდაიცვალა.

✦ გაცარცვა: 3 ივლისს საღამოს 10 საათზე სოფელ ნაკიპოვის, წალენჯიხის საზოგადოების მცხოვრებს გლეხს ბერუკა ბელქანიას დაეცენ სამი შეიარაღებული პირნი და სიკვდილის დამუქრებით წაართვეს მას 140 მანეთი ფულათ და 100 მანეთისაც ნივთები. ბოროტ მომქმედნი მიიმალენ.

✦ 7 ივლისს სოფელ ლეგოგიეს, ფოცხოვის საზოგადოების მცხოვრებ გლეხს იესე უტუსძე გოგიას მოუვიდა ჩხუბი ბიძაშვილთან ბესლან გოგიასთან, რომელიც დასჭრა.

✦ 6 ივლის შუადღის 12 საათზე ქაჯაია, გაბეჩავამ და გელენავამ ცეცხლი გაუჩინეს და დასწვეს სახლი და სამზარეულო სოფელ სახარბედის მცხოვრებ ირაკლი ვუტუასი, მიზეზი ის ყოფილა რომ, უკანასკნელი დახმარებას უწევდა თურმე პოლიციას მათ დასაჭერათ და ყაჩაღ ეჯიბიას მოკვლაში.

✦ სანოვაგის ფასები ქუთაისის ბაზარზე: ფქვილი 2 მან. და 60 კაპ; სოფლის სიმინდი 2 მან 20 კაპ; მოტანილი სიმიდი 1 მან და 40 კაპ; ყველი ოყა მანეთი და 20 კაპ; ჩარექი კი 1 მან. კვერცხი თითო შაურათ.

ხილეულობის ფასები: გულაბი მსხალი 5 მ. უბრალო მსხალი 2 მ. 10 შ ვაშლი ატამი 3 მან ბაღის ატამი 4 მანეთი თხილი გარჩეული 5 მან. გაურჩეველი 2 მ. და 50 კაპ; ყურძენი 7 მანეთი.

ბოსტნეულობის ფასები: ნესვი საპალნე 9 მან. საზამთრო 100. ცალი 25 მ. კიტრი 100 2 მან. პომიდორი 75 კაპ. კარტოფილი მანათი და 70 კაპ ლახანა მანეთი და 15 კაპ. ხახვი 3 მანეთი.

✦ საფიჩხიაზე ხარაზოვის მინდორზე დიდი სიბინძურეა. საჭიროა ქალაქის სანიტრებმა ყურადღება მიაქციონ.

✦ ივანოვის ქუჩის მცხოვრებნი ჩივიან ამ ქუჩის უყურადღებოთ მიტოვებას. რამდენი ხანია ქვა მოტანილია ქვა ფენილის გასაკეთებლათ და დღესაც არ გაუკეთებიათ.

✦ სადორაზე დამტკიცდა ტეიბულის რკინის-გზაზე გადასავალი, ქალაქის გამგეობამ უკვე ინახულა და მოიწონა. გადასავალი გაკეთდება ხახიაშვილისა და ცქიფურიშვილების მამულში.

**სოფლათ.**

— დაბა ზუგდიდში პირველ ეკენისთვიდან სამოსწავლო ოლქის განკარგულებით გაიხსნება საშუალო სასწავლებელი ორივე ქსესისათვის (კერძო გიმნაზია), ახლო მომავალში სახალხო სკოლების დირექტორი ვიშნევსკი მიდის ზუგდიდში შესაფერი დარიგების მისაცემად საქმის მოსაწყობათ, გზადაგზა ინახულებს იმ ადგილებს, სადაც [illegible] უმაღლესი დაწყებითი სკოლები.

**დ. საჩხერე.** 21 ივლისს აქაურ თეატრში გაიმართება წარმოდგენა. წმინდა შემოსავალი გადაეცემა ღარიბ სტუდენტს. იმედი არის აქაური საზოგადოება წარმოდგენას ბლომათ დაასწრება და მით საშუალებას მისცემს სტუდენტს სწავლის გასაგრძელებლათ.

— მთელ საჩხერის რაიონში ჰინახული ისპობა გვალვისაგან. ხალხი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი. აქაურ ტაძრებში პარაკლისებს იხდიან.

**თფილისი.**

— რედაქციის და კოოპერატივების მოსამსახურეთა ჯარში გაწვევის შესახებ ქალაქის კომიტეტს კრება ჰქონდა 13 მკათათვეს და დაადგინა: ვინაიდან რედაქციის თანამშრომელნი და კოოპერატივის მოსამსახურენი სახელმწიფოს დაცვის საქმეს ემსახურებიან ამისათვის ისინი ცნობილ იქმნენ პირველ მოთხოვნილებათა საგნების მიმწვდელად და განთავისუფლებულ სამხედრო ზეგრიდან.

— წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თავჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის მთავარ კომიტეტის წინაშე, რომელიც გადმოხვეწილთა სვე ბედზე ზრუნავს, რომ დაეხმაროს საზოგადოებას ამ ომიანობისაგან დაზარალებულთა შვილებისათვის სკოლების დასაარსებლად. აღნიშნულ მთავარ კომიტეტს შუამდგომლობა შეუწყნარებია და დაუდგენია მიეცეს საზოგადოებას ერთდროულად 24 ათასი მანეთი 3 სკოლის დასაარსებლად—ბაქოსა, ბათომსა და სოხუმში—ომიანობისაგან დაზარალებულთა და გადმოხვეწილთა შვილებისათვის და 13,500 მანეთი წლიურად მოსწავლეებისა და მასწავლებელთა შესანახად.

— გამოვიდა ახალციხის სავაჟო პროგიმნაზიის მასწავლებლის ბ-ნ ს. დანელიას წიგნი: „რუსული მართლწერის სწავლება იმ საშუალო სკოლებში, სადაც არა რუსნი სწავლობენ". სათანადო ლიტერატურის ცოდნასთან ერთად ავტორს ეტყობა საკუთარი დაკვირვების ფრთხილი ნიჭიც. წიგნი უტყუარ პედაგოგიურ ინტერესს წარმოადგენს. წიგნია მოდიდო ფორმატის. შეიცავს 65 გვერდს.

## სიყვარულის მეცნიერება.

ნოველა დ. მერეჟკოვსკისა.

მაესტრომ აანთო სანთელი და დაიწყო ძებნა სარდაფში კასრებ (ბოჩკებს) შორის, შემდეგ ოთახები დაათვალიერა, საწოლ ქვეშაც შეიხედა, თივის ლეიბს მახვილი გაუყარა რამდენიმე ადგილს,— ერთი სიტყვით, თაგვის სორო არ დარჩენია უნახავი მთელ სახლში, მაგრამ ბუჩჩიოლო კი ვერ იპოვნა. სანთლით ხელში დასდევდა ჯიოვანნა და ეუბნებოდა:

—გონს მოდით, ძვირფასო მაესტრო, გადისახეთ პირჯვარი, რადგან ნათლად დავრწმუნდი, მტერი უფლისა გცდით თქვენ და ასეთი რამ მოგელანდათ, რის თქმაც სირცხვილად მიმაჩნია; იცოდეთ, რომ ჩემი თმის ერთ ბეწვსაც რო მოსურვებოდა მზგავსი რამ, თავს არ ვიცოცხლებდი ერთ წუთს. ღვთის გულისათვის, მაესტრო, ნუ აჰყვებით ეშმაკის გზას!

ბუჩჩიოლო ვერ იპოვნა ფაბრიციომ, ცოლის მუდარა-ვედრებამაც გასჭრა და ეჭვებ გაფანტული დაბრუნდა უნივერსიტეტში

მადონნა ჯიოვანნამ კი გადაკეტა კარები ურდულით, სარეცხ ქვეშ დამალული საყვარელი გაანთავისუფლა, დაანთეს დიდი ცეცხლი, რომელზეც ძუძუთა გოჭი შეწვეს, რამდენიმე სხვადასხვანაირი ღვინო ამოიტანა სარდაფიდან; დაიწყეს სმა, ჭამა, დროს ტარება და ერთმანეთის ტრფიალში გაათენეს მთელი ღამე. განთიადისას, წასვლის წინ მიმართა ბუჩჩიოლომ:

—მადონნა, უნდა გამოგემშვიდობოთ, ხომ არას მიბრძანებთ?

—ოო, რასაკვირველია,—მიუგო ჯიოვანნამ და კისერზე მოეხვია,—მე მსურს,—ამ საღამოსაც მესტუმრო.

ბუჩჩიოლო შეჰპირდა მისვლას; დაბრუნდა, მასწავლებელი ინახულა:

—დიდი საცინელი რამ უნდა გიამბოთ.

- აბა, სთქვი. ყურს გიგდებ

--წუხელის,—დაიწყო ბუჩჩიოლომ,—როდესაც ჩემი საყვარლის სახლში ვიყავ, უცაბედად მისი ქმარი წამოგვეწრო, გაჩხრიკა მთელი სახლი და კი ვერაფერი აღმოაჩინა. სარეცხ ქვეშ დამმალა ქალმა და ისე მოხერხებულად მოატყუა ის ჩერჩეტი, რომ ყველა მისი ნათქვამი პიტალო ჭეშმარიტებად მიიღო და წავიდა. ჩვენ კი მარტონი დავრჩით, კარგათ ვივახშმეთ, ბევრნაირი ღვინის ჭაშნიკი ვიგემეთ და, გარწმუნებთ, მაესტრო, ძლიერ მხიარულად გავატარეთ დრო და სიყვარულის „მეცნიერება", მგონი, ყველა სხვა მეცნიერების დარგს სჯობიან, მას არა შეედრება-რა. ღმერთმანი, არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა, ძვირფასო მასწავლებელო!.. ეხლა კი, თქვენის ნებართვათ, წავალ და ცოტას მოვისვენებ, რადგან თელ ღამეს არ მძინებია და ამ საღამოსაც შევპირდი მისვლას.

— წასვლის წინ კიდევ შემოიარე ჩემთან,— უთხრა მესერ ფაბრიციომ.

—სიამოვნებით!-მიუგო ბუჩჩიოლომ და დასაძინებლად წავიდა.

სიბრაზით არ იცოდა, რა ექნა პროფესორს; დაიწყო ლექციის კითხვა, მაგრამ სილოგიზმთა ნაცვლად რაღაც სისულელეები გამოუდიოდა, ლექცია შესწყვიტა და თავი მოიავადმყოფა. ეჭვიანობამ შეიპყრო მისი არსება და მთელ დღეს იმაზე ოცნებობდა, რომ დაეჭირა როგორმე ბუჩჩიოლო და დაესაჯა სასტიკად. მოხუც ლანდსკნეხტიდან (დაქირავებული მეომარი), რომელიც მათ მეზობლად, ვიწრო ქუჩაში ვაჭრობდა, იქირავა ძველი ჟანგიანი ჯავშნი, ადამისდროინდელი ფათი და მუზარადი (სახეზე ასაფარებელი რკინის ნიღაბი). საღამო ჟამს შემოიარა უდარდელმა ბუჩჩიოლომ და უთხრა..

— მე უკვე მივდივარ.

— წადი, წადი,-მიუგო მაესტრომ,-და არ დაგავიწყდეს ხვალ დილით მოსვლა და ანგარიშის ჩაბარება, რაც შეგემთხვევა

— ნუ სწუხართ, უსათუოდ გიახლებით, უპასუხა და გაბრუნდა ბუჩჩიოლო.

მაესტრომ კი ჯავშანი გადიცვა, ფარი გადიკიდა მხარზე და გამოედევნა ფეხდაფეხ, რომ ზედ კარებზე დაეჭირა, ბუჩჩიოლოს მომლოდინე ჯიოვანნამ საჩქაროდ გააღო კარები, შეუშვა საყვარელი და სწრაფადვე ჩაიკეტა შიგნიდან. იმავ წუთას მოვიდა მაესტრო და ერთი ალიაქოთი ასტეხა. ქმრის ხმაზე სანთელი ჩააქრო ჯიოვანნამ და წინიდან აეფარა ბუჩჩიოლოს, კვალად გაიღო კარი, ცალი ხელით ქმარს გადაეხვია კისერზე, მეორეთი კი ბუჩჩიოლო გამოუშვა ისე მოხერხებულად, რომ მაესტრომ ვერ შეამჩნია და ყვირილი მორთო:

— მომეხმარეთ, ვინა ხართ მადლიანი, მომეხმარეთ, მაესტრო შეიშალა!

და თან მაგრად ეხვეოდა კისერზე. ფაბრიციოს მუზარადით ჰქონდა სახე დაფარული და ამიტომ ვერ იცნო იგი ბუჩჩიოლომ. ხმაურობაზე მეზობლები მოცვივდნენ და ნახეს-რა პროფესორი მისთვის შეუფერებელ ჯუბა ჯავშანში და იარაღით ხელში, მასთან ჯიოვანნას კივილი: „დაიჭირეთ, გადაჭარბებული შრომით ჭკუა დაჰკარგაო!"- მართლა დაიჯერეს, რომ მესერ ფაბრიციო შეშლილაო; ეცოდებოდათ და წრე შემოარტყეს.

— ახ, მაესტრო, მაესტრო, რა დაგმართნიათ? დაისვენეთ და ნუ ილაყებთ ტვინს დიდი მეცნიერული შრომით ჩვენ თუმცა უსწავლელნი ვართ, მაგრამ ამას კი გულწრფელად გირჩევთ: დამშვიდდით, მასტრო.

— როგორ დავმშვიდდე,-ემუდარებოდა ფაბრიციო, როდესაც ჩემი თვალით ვიხილე, რომ საყვარელი მოიხმო სახლში ამ უკეთურმა?

— საყვარელი!-შეჰკივლა მადონნა ჯიოვანნამ,-ოჰ, უბედურო ჩემო თავო! ჰკითხეთ ამ კეთილ ხალხს, თუ მზგავსი რამ შეუმჩნევიათ ჩემთვის!

ამის გაგონებაზე ყველა მეზობლებმა, ქალმა და კაცმა, ერთხმად მიმართეს:

— მაესტრო, გონს მოდით, გამოდგენთ თავიდან ეგ სისულელე, რადგან თქვენს მეუღლეზე უკეთილშობილესი და ზნეობით აღსავსე მანდილოსანი ჩვენ სხვა არ გვინახავს ქვეყანაზე. სხვაში, შეიძლება, სცდებოდეს რაშიმე, მაგრამ მაგ მხრით კი გვერწმუნე, არ ვიცრუებთ.

— უმეცარნო! ღრიალებდა მაესტრო, გეუმნებით, ჩემი თვალით ვნახე მეთქი მისი საყვარელი და ისიც ვიცი, რომ ეხლაც ჩემს სახლშია.

ამ დროს მიღონნა ჯიოვანნას ორი ძმაც მოცვივდნენ ყვირილზე, ეხლა უფრო უმატა ტირილს ქალმა და მიმართა:

საყვარელო ძმანო, ჰკუა დაჰკარგა ჩემა ქმარმა და მოკვლას მიპირებდა. ცილსა მწამებს, ვითომ სიყვარლისთვის მეხმოს სახლში,—როგრ მოგწონთ? თქვენ კარგათ იცით, ისეთი ქალი არა ვარ და არც ისე აღზრდილი, რომ ასეთი შეურაცხება მოვითმინო.

ფაბრიციო? მიუახლოვდნენ ჯიოვანნის ძმები:

— ძლიერ გვიკვირს, რომ ჩვენ დას აგეთი სახელით ნათლავთ. რამდენი წელიწადია, რაც ერთად სცხოვრობთ? დღეს რა მოხდა ისეთი, ან რამ გაგაბრაზათ?

— მე თვითონ ვნახე მისი საყვარელი, იმეორებდა ერთ და იმავეს მესერ ფაბრიციო,—ჩემი თვალით ვიხილე!

— კარგი,—უპასუხეს ცოლის ძმებმა,- მოვძებნოთ და თუ სახლში ვნახეთ ვინმე, ისე დავსჯით ჩვენ დას, რომ თქვენც კმაყოფილი დარჩებით.

ერთმა მათგანმა გვერდზე გაიხმო ჯიოვანნა და ჰკითხა:

— მართლა თუ არის ვინმე სახლში?

— რას ამბობ,—იწყინა ჯიოვანნამ,— როგორ არა გცხვენიან მაგისი თქმა?! ღმერთმა დამიფაროს აგეთი შერცხვენისაგან. ათასჯერ სიკვდილს ვარჩევდი, ვიდრე მზგავსი რამ არამც თუ ჩამედინა, აზრითაც რო მომსლოდა.

ძმები დაამშვიდა ასეთი რწმენებით და ფაბრიოსთან ერთად დაიწყეს სახლის გაჩხრეკა. შეხედა თუ არა მაესტრომ დაგროვებულ სარეცხს, ისეთ შეუბრალებლად, ისეთი სიბრაზით და ბოროტებით უტრიალებდა მახვილს, ადამიანს ეგონებოდა, თვით ბუჩჩიოლო ნახაო, რადგან კიდევ იქ ეგონა დამალული.

— აი ხომ ხედავთ,—ხელი ხელს შემოჰკრა ჯიოვანნამ,—აკი გითხარით, რომ შეიშალა მეთქი. განა კიდევ ეჭვი გეპარებათ, მოუფიქრებლად ახდენს თავისსავე კეთილ შენაძენს?..

ძმებმა გაჩხრიკეს მთელი სახლი და ვერავინ ნახეს; ეხლა კი დარწმუნდნენ, რომ მართლა შეშლილა მაესტროვო

ერთმა მათგანმა წარმოსთქვა:

— ჩვენ სიძეს ჰკუა დაუკარგავს.

— მეორემ ზედ დაურთო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შემწეობა საეკლესიო პრებულებას.

როგორც გაზეთი „საქართველო“ გადმოგვცემს (იხ. ამა წლ. 13 მკათათვის ნომ.) მინისტრთა საბჭოს ათი მილიონი მანეთი გადაუდვია იმ ეპარქიათა შორის გასანაწილებლად, რომლებიც საჭიროებენ ქონებრივ შემწეობას. სამღვდელო-საეკლესიო მოსამსახურეთათვის ეს განკარგულება, ამ აუტანელი სიძვირის დროს, ფრიად საყურადღებო და სასიამოვნოა, მაგრამ არ გვჯერა, რომ ამ ფულებიდან ქართველ სამღვდელოებას ბევრი რამ ერგოს.

არ გვჯერა მიტომ რომ ჩვენი ქართველი სამღვდელოება კაი ხანია რაც უმაღლეს სასულიერო ბიუროკრატიას აბუჩად ჰყავს აგდებული და მის მოთხოვნას კანონიერს ანგარიშს არ უწევს. ეს თუ ასე არ არის რითი ავხსნათ ის გარემოება, რომ ჩვენი ეკლესია-მონასტრების განახლება და აშენებისთვის რუსეთის სინოდი თითქმის არაფერს არ ხარჯავს და შიდა გუბერნიების ამ გვარი საჭიროებისათვის მილიონობით დებს ფულს. ყველა სასულიერო სასწავლებლები, როგორც უმაღლესი, აგრეთვე საშუალო და დაბალი რუსეთში ხაზინის ხარჯით ინახება და ჩვენში არსებული ამ გვარი სასწავლებლები ხაზინიდან მხოლოდ მარტო შემწეობას ღებულობენ და დანარჩენი ხარჯები ადგილობრივი წყაროებიდან ივსება.

აგერ რამდენი ხანია, რაც რომ რუსეთის ყველა განაპირა ქვეყნების სამღვდელოება სახაზინო ჯამაგირების უდიდესი ნორმით (1200 მ. კრებულზე) არის დაკმაყოფილებული და ქართველი სამღვდელოება საწყალი წლიური სამასი (300 მ.) მანეთითაც არ არის უზრუნველყოფილი და, მშიერმწყურვალი, ჩვენი გაღატაკებული გლეხის კისერზე არის ჩამოკიდებული.

სამართლიანობა მოითხოვდა, ყველაზე უფრო თუ არა, თანაბარ ყურადღებას მაინც გვაქცევდეს სინოდი. ჩვენი საეკლესიო მამულები, მილიონებად ღირებული, ჩალის ფასად არის ჩამორთმეული და ნუ თუ ეს ანგარიშში ჩასაგდები არ არის, როდესაც ამა თუ იმ სახაზინო თანხას ეპარქიებს შორის ანაწილებს სინოდი?

მდგომარე საერთო უბედურებას—მსოფლიო ომს რომ თავი დავანებოთ, საქართველოში აგერ მესამე წელიწადი გათავდა და მეოთხე იწყება, რაც სიმშილობაა ჩამოვარდნილი. ეს სტიქიური უბედურობა შიდა რუსეთში რომ მომხდარიყო ახლა ერთი განგაში იქნება ატეხილი ხალხისა და სამღვდელოების დასაკმაყოფილებლად და ჩვენ სრულიად არავითარ ყურადღებას არ გვაქცევენ, როგორც ერს ისე მღვდელს.

თუ ხმას არ ამოიღებს ქართველი სამღვდელოება ახლად გადადებული მილიონებიდანაც ჩვენ ბევრს არაფერს გვარგებენ. ამის ნიშნები უკვე სჩანს. როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ეპარქიალურ კანცელარიას ცნობა მოსვლია—წარმოადგინოს სია იმ კრებულთა, რომელნიც ჯერ კი დევ არ ღებულობენ სამას მანეთს წლიურ ჯამაგირს ხაზინიდან მორჩა და გათავდა! ამითი აპირობს უმაღლესი სასულიერო მთავრობა დღევანდელი უმწეო მდგომარეობიდან ჩვენ გამოყვანას.

შ. ბუაჩიძე.

---

— მაესტრო, ძვირფასო მაესტრო, დაგვეთანხმეთ, რომ სულ უმიზეზოდ შეურაცჰყავით ჩვენი და.

მთლად გადირია მაესტრო ამის გაგონებაზე, რადგან ეჭვიც არ ებარებოდა, რომ საკუთარი თვალებით იხილა სახლში შესული ცოლის საყვარელი და მათაც ლანძღვა დაუწყო; მასთან არც ამოწვდილი მახვილი გაუგდია ხელიდან. ამიტომ უცებ ეცნენ მას, აჰყარეს იარაღი ხელფეხი შეუკრეს და თვითონ კი დასაძინებლად წავიდენ. დილით ექიმს მოუწოდეს: მან სასაქმებელი გამოუწერა და უბძანა ყინული დაედვათ თავზე, სისხლი თვითონვე გამოუშვა და ურჩია ხმა არავის გაეცა ავადმყოფისთვის უპასუხოდ სტოვებდა მის კითხვებს და საჭმელიც უნდა შეერჩიათ, სანამ არ გამოკეთდებოდა. ყველა ეს სისწორით შეასრულეს

სამწუხარო ხმები გავრცელდა ბოლონიაში, ვითომ მესერ ფაბრიციო, დიალექტიკოსი, „სილოგიზმთა მეფე“ ჭკუაზე შესცდაო. ყველა სწუხდა, ყველას ებრალებოდა. სტუდენტები ამბობდნენ:

— მე აკი გუშინვე შევამჩნიე, რომ ვერ იყო კარგად. გახსოვთ, არც ლექციის კითხვა დაუმთავრებია; შეშლილივით აბრიალებდა თვალებს.

ზოგიერთნი ნიშნს უგებდნენ:

— ასე იცის დიდმა ცოდნამ. ერთიც ვნახო, ეშმაკის კერძი გამხდარა!

სტუდენტებმა მოინდომეს მისი ნახვა. ბუჩჩიოლომ არა იცოდა-რა და უნივერსიტეტში დაბრუნდა, რომ ეამბნა მესერ ფაბრიციოსთვის ახალი თავგადასავალი. მაგრამ გადასცეს, რომ მაესტრო შეიშალაო. შეწუხდა ბუჩჩიოლო და ამხანაგებთან ერთად ისიც წავიდა ავადმყოფის სანახავად. და როდესაც შენიშნა, სად და რომელ სახლშიც მიდიოდნენ,—მის განცვიფრებასა და შიშს არ ჰქონდა საზღვარი, ყველაფერს მიხვდა და კინაღამ გონება დაჰკარგა. მაგრამ შიშით, რომ ეჭვი არ აეღო ვისმე, ისიც შეჰყვა სახლში ამხანაგებს და ინახულა ლოგინში მწოლიარე ფაბრიციო: ხელფეხი შეეკრათ და თავზე ყინული შემოედვათ. სტუდენტები რიგ-რიგად მიდიოდნენ პროფესორთან და ანუგეშებდენ, როდესაც რიგი ბუჩჩიოლოზე მიდგა, ჩიუახლოვდა იგი მესერ ფაბრიციოს და მიმართა:

— ძვირფასო მასწავლებელო, მიყვარხართ და პატივსა გცემთ, ვით მშობელ მამას,—და ამიტომ მიმსახურეთ თქვენი სურვილისამებრ, მიბრძანეთ, ვით შვილს.

მაესტრო მიხვდა ბუჩჩიოლოს გულწრფელ მონანიებას და ოდნავ-გასაგონი ხმით მიუგო:

— ბუჩჩიოლო, ბუჩჩიოლო, ღმერთი იყოს შენი მფარველი! გეყოფა, რაც ისწავლე, თუმცა, სიმართლე რომ ვსთქვა, მეც შემასწავლე რამე.

ჯიოვანნამ საჩქაროდ დაუმატა:

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ მის ნათქვამს: ბოდავს.

ბუჩჩიოლო სწრაფად გამოვარდა სახლიდან, მოძებნა პაეტრო პაოლო და უთხრა:

— იყავ ბედნიერი, ძმაო. მე იმდენი რამ შევისწავლე ამ ბოლო დროს, რომ ხალისიც კი დამეკარგა.

ამ სიტყვებით მიატოვა მეგობარი, იმაწუთს შეჰკრა ბარგი და მშვიდობით დაბრუნდა რომს.

გ. შუმლაძე.

---

## პროვინციის ცხოვრება.

**ბაღდათი.** 17 ივლისს საქალებო სკოლის ეზოში ადგილობრივი ინტელიგენციის თაოსნობით გაიმართა ევდოშვილის საღამო. პირველად პ. კვირიკაძემ მიმართა დამსწრეთ სიტყვით, რომელშიც გააცნო საზოგადოებას ევდოშვილის ვინაობა და მისი მნიშვნელობა ჩვენს ლიტერატურაში და მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში. ამის შემდეგ სტუდენტმა არტ. კვირიკაძემ წაიკითხა რეფერატი: „ევდოშვილი, როგორც მებრძოლი მგოსანი.“ რეფერატმა ხალხი ვერ დააკმაყოფილა და ხშირად ისმოდა: „კმარა, გაათავე!“-ო

შემდეგ წარმოადგინეს „იასონის ოინები“, რომელიც მშვენივრად შეასრულეს, რითაც ძლიერი და სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზე. ბავშებიც მშვენივრად კითხულობდენ ევდოშვილის ლექსებს. 12 საათზე საზოგადოება ფრიად ნასიამოვნები დაიშალა.

9 ივლისს შალვა ჯაფარიძის გამგეობით წარმოდგენილი იქმნა „ქრისტინე“. საზოგადოთ ყველა სცენის მოყვარე კარგად ასრულებდა დაკისრებულ როლს. განსაკუთრებით კი ქსენია ჯაფარიძის ასულზე უნდა ითქვეს, რომ მან სავსებით, გადმოგვცა ჩვენი უკულმართი, ბოროტი ცხოვრების მიერ დაჩაგრულის, და სასტიკათ შეურაცხყოფილ, ბედ-შავ ქრისტინეს სულიერი მდგომარეობა, რის გამოც ზოგ დამსწრეთაგანს ცრემლებიც კი სცვიოდა თვალთაგან.

ფრიად სასიამოვნო და სასარგებლოა ჩვენი სოფლის ცხოვრებაში ასეთი საღამოების მართვა, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან შალვა ჯაფარიძე და ყველა მონაწილეები. იმედია, რომ ეს სიმპატიური წრე უფრო მეტის ენერგიითა და სიყვარულით განაგრძობს ამგვარ მოღვაწეობას. წმინდა შემოსავალი ხმარდება სამკითხველოსა და სახალხო სახლის ასაშენებელ ფონდს.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო შემდეგი. ამ საღამოს დაეწრენენ ორი ინტელიგენტი ყმაწვილი (ერთი უმაღლესი განათლებით), ღვინით გალეშილნი: ესენი თავის უგვანო საქციელით წესიერებას არღვევენ საზოგადოებას პიესის მოსმენას უშლიდენ. ერთ მათგანს ბილეთიც არ ეყიდა, პირველ რიგში კი წამოსკუპებულიყო; მან განუცხადა კანტროლს, ბილეთი დამეკარგაო. შემდეგ კი თავხედურათ გაიძახოდა: „აბა, გამიპედონ რამეო!“ მდაბიო ხალხისთვის სწორედ რომ საზიზღარი მაგალითია

დამსწრე.

---

**გორი.** აქ, სამხედრო საავადმყოფოში სხვა ტყვე ოსმალებს შორის იმყოფება 11 ქართველი მაჰმადიანი აჭარელი. ესენი ოსმალთა მიერ მათ ტერიტორის დაპყრობა-დარბევის დროს ტყვეთ იქნენ წაყვანილი ოსმალების მიერ. შემდეგ კი რუსის ჯარმა წამოიყვანა და როგორც სამხედრო ტყვე იმყოფებოდენ საავადმყოფოში. ამ ორი თვის წინათ მათ შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე, როგორც რუსეთის ქვეშევრდომნი, გაენთავისუფლებიათ და გაეგზავნათ თავიანთ სამშობლო-ადგილებში კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარა მათი თხოვნა და 7 ივლისს ესენი გადაეცა სამოქალაქო მთავრობას თავიანთ ადგილებში გასაგზავნათ.

---

**სად. მუხიანი.** ადგილობრივი ვაჭრების თარეშს საზღვარი არ უჩანს, სოფლის მეურნეთ პირდაპირ ტყავს აძრობენ: იაფათ საქონლის შეძენა, წონაში თითქმის ნახევარის მოპარვა, ანგარიშის გაუსწორებლობა -აი მათი საქმე.

---

**ბორჯომი.** შაბათს 17 ივლისს, ავადმყოფი რეჟისორი ვ. შალიკაშვილი ი. გრიშაშვილის მონაწილეობით საღამოსა მართავს დაბა ბორჯომში.

---

**დაბა ზესტაფონი** აქ დაატუსაღეს სამი ვაჭარი: იოსებ გაბუნია, სიმონ ჩაკვეტაძე და მალაქია ჭუმბაძე. პირველ მათგანს ბრალდებოდა შაქრის გირვანქა სამ აბაზად გაყიდვა, მეორეს ფხვნილი შაქრის გადამალვა და მესამეს პაპიროსისა და თამბაქოს ნიხრზე ზევით გაყიდვა, როდესაც გაბუნია სატუსაღოში შეიყვანეს, ეცენ ტუსაღები და საშინლად სცემეს. იგი ტუსაღებისთვის ძლივს გამოუგლეჯიათ ხელიდან ციხის ადმინისტრაციას.

---

**ხონი** აქაური ვაჭრები ფასებს დღედღეზე უმატებენ. შაქარს, საპონს და სხვა აუცილებელ სანოვაგეს სრულებითაც ვერ იშოვნით.

---

**სად ნატანები.** დიდი ხნის ლოდინის შემდეგ აქაურმა მუშებმაც იგრძნეს კოპერატივის აუცილებლობა და ამ მიზნისთვის კიდეც მოიწვიეს საზოგადო კრება, კრებამ დადგინა მიეცეს გამგეობას უფლება აიღოს სესხი საიდანაც იქნება იმდენი, რამდენიც საქმეს აწარმოვებს. მიაწოდებენ მომხრებელს მხოლოდ პურს. დასასრულ მოხდა არჩევნები. გამგეობის წევრთა

---

**ს. ახალქალქი.** აქ არსებობს კოოპერატივი მართალია. ის ნორჩი დაწესებულებაა, მაგრა შესაფერათ მაინც ვერ ასრულებს თვის მოვალეობას. ეს აიხსნება იმით რომ ერთ და იმავე პირს, რომელიც კოოპერატივის გამგეობაში შედის, რამდენიმე საქმე აქვს დაკისრებული. გარდა ამისა კოპერატივი აუცილებელ საგნების საჭიროებას თავის დროზე ვერ აკმაყოფილებს, მას მნიშვნელობა ეკარგება. აქ კი, მაგალითად, იმ დროს, როცა თფილისში შაქარი საკმაოდ იშოვებოდა და აქაური ვაჭრები გირვანქას 35—40 კ. ყიდდენ (კოოპერატივში კი 28 კ იყიდებოდა), ერთი ნამცეცი შაქარი არ მოიპოვებოდა კოოპერ. დუქანში. ასეთ შემთხვევებში აბარანაირის თვალით უნდა შეხედოს ისედაც შეუგნებელმა ხალხმა ამ ნორჩ დაწესებულებას ამ ახლო მომავალში საზოგადო კრება უნდა მოხდეს და იმედია, ბ.ბ. წევრები გამგეობის არჩევის დროს ყურადღებას მიაქცევს აღნიშნულ გარემოებას.

---

**ხარაგაული.** სამეურნეო აღწერის შესახებ ადგილობრივი რაიონის ინსტრუქტორი ბ. ი. ორჯონიკიძე გადმოგვცემს, რომ ხალხი იმდენად დაშინებულია აღწერით სოფლად მოხეტიალე ჩარჩების ჩაგონებით, რომ სოფელში შესვლის დროს გვიხთება სათანადო ლექციების კითხვა, მტკიცება იმისა, რომ საშიში და საეჭვო არაფერია. რომ მთელი საქართველოსთვის სასარგებლო საქმე კეთდება და თქვენი ინტერესები მოითხოვენ, რომ ყველაფერი სიმართლით გვიჩვენოთ.

---

## ყაჩაღების თარეში სიმონეთში.

ალარავისთვის საიდუმლოებას აღარ შეადგენს რომ სხვერპლს იწირავს ომი ასიათასობით ამილიონობით არიან გასული ბძოლისველზე, მათი ოჯახები დიდ გაჭივრებას განიცდიან. დროთა ვითარებამ ჩვენ ქვეყანასაც მოთხოვა „სისხლის ბეგრის“ გაღება ჩვენი ქვეყნის შვილებიც იბრძვიან იქ, სადაც მრავალ მილიონი ხალხნი ღვრიან სისხლს მტერთან ბრძოლაში. ბევრს მათგანს ოჯახი სრულიათ ასე უპატრონოთა ყავს დარჩენილი. გულის ფანცქალით მოელის ბრძოლის ველიდან საბედისწერო ამბავს. ხშირად შეხვდებით ისეთ ოჯახს, რომ მამაკაცი სრულიად არ ყავდეს, თითო წევრი, ხომ ყოველი ოჯახიდან არის წაყვანილი. აი ბატონებო ამისთანა დროს გამომდგარან ეს ქურდ ბაცაცები და იკლებენ ყველაფერს. მაგალითისთვის შორს, რომ არ წავიდეთ, მოვიყვან ამ დღეებში მომხდარ ამბებს. როგორც გამოირკვა სიმონეთში შემდგარა ყაჩალთა ბრბო 10 კაცისგან, რომელნიც არ ინდობენ არავის. ამ დღეებში მათ გაიტაცეს საწყალი მათხოვარი სერბიელი ქალი და ორი დღისი შემდეგ გამოუშვეს. ს. ნავარევში დაეტოვებიათ. ამ ნაძირალებს მთელი ჩვენი ძალ-ღონით უნდა შევებრძოლოთ.

ვანო სიქთარეველი.

---

## ისტორიული მიმოხილვა.

ლიუტერის სჯულის სწავლის დაწყება საქართველოში და ათაბაგი მზე ჭაბუკი დიდი XVII საუკ.

(შემდეგი იხ. „სამშობლოს“ № 397)

### ქართველები გრიგორიანის სჯულით

ქართველები სომხის ერს და მათს სჯულს ძველთაგანვე იცნობდენ და ერთ ხანს ქართველთა და სომეხთა შორის სიყვარულიც არსებობდა. სომხები ქართველებს სრულებით არ სდევნიდენ და არც უშლიდენ რამეს. ამიტომაც ქართველებს სომხის სჯული თავის მფარველადაც კი მიაჩნდათ.

სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ქართველებმა მრავლად იწყეს გრიგორიანობაზე გადასვლა. ქართველთა დიდი რიცხვი გრიგორიანობას შეუერთდა და ამის მერე ეს ქართველები გადასახლდენ განჯის გუბერნიისაკენ, ერთი ნაწილი გადასახლდა ერევნისაკენ, ერთი ნაწილი არზრუმ-ვანისაკენ, ერთი ნაწილი კონსტანტინეპოლს და ზოგიც სხვადასხვა ისეთ კუთხეებში, სადაც სომხები მრავლად სცხოვრობდენ. ასეთ გასომხებულ ქართველთა რიცხვი XVII საუკუნის ბოლოს 400 ათასზედ მეტი იყო ეს ნამდვილი და სწორი ცნობა არის. ამის უარს ვერავინ ჰყოფს. ისიც უნდა ითქვას, რომ გასომხებულ ქართველების რიცხვი საქართველოშიც ერთობ ბევრი დარჩა.

ქართველები აქაც შესცდენ, და გრიგორიანობაშიაც მარცხათ წაუვიდათ საქმე. მათს გვარსა და ნაციას როგორც ისლამი მტრობდა და სჭამდა, ისევე დაუწყო შეჭმა კათოლიკობამ და მასთან გრიგორიანობაც ხომ ისეთ იარაღად აღმოაჩნდა, რომლის საშუალებითაც ქართველ გრიგორიანებსაც დაუწყეს გადაგვარება და რაც ისლამმა და კათოლიკობამ დააკლო ქართველებს, ის გრიგორიანობამ შეუსრულა.

ამ გარემოებას ყველა ქართველი კარგად გრძნობდა, კარგად ხედავდა, როგორც დიდი, ისე პატარა, როგორც თავადი, ისე აზნაური და გლეხი.

ქართველმა ერმა ყველა სჯულს ... სარწმუნოებას გული აჰყარა იგი ისლამსაც ენდურებოდა და ქრისტიანობასაც, ვინაიდან ქართველი კაცის სულს ერთიც სჭამდა და მეორეც. ეს იყო მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს, ანუ 1510 წლებში. ამ დროს ევროპაში ლიუტერის მოძღვრებამ უკეთ ფეხი მოიკიდა და ეს მოძღვრება ნელ-ნელა ჩვენშიც გავრცელდა. იმ ხანებში სამცხე საათაბაგოს განაგებდა ათაბაგი მზე-ჭაბუკი, რომელიც შემდეგ მზე-ჭაბუკ დიდი ეწოდა.

### ქართველები ლიუტერის სწავლის მიღების სამზადისში.

ათაბაგს ოსმალნი დიდად მტრობდენ, მათ სურდათ საათაბაგოს დაპყრობაც და საქართველოს მოსპობაც. მზე-ჭაბუკი გონიერი მართველი იყო, ოსმალებთან დიდის ოსტატობით ეჭირა თავი, ამიტომ მას ხშირად უხდებოდა სტამბოლში სიარული, ოსმალოს მთავრობასთან მოლაპარაკება, საქმის მოწესრიგება და ქვეყნის უვნებლად გადარჩენა.

საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველებმა სჯულზე ფიქრს თავი გაანებეს, ქრისტიანების ყურება მათ ალარად მიიჩნიეს, ვინაიდგან მათ ბიზანტია თვალ-წინ ედგათ, სადაც ქრისტიანობა და მის მიმდევართა თაყვანება და მის მიმდევრობა დიდათ იყო გაზვიადებულ-აღორძინებული, მაგრამ რა მოხდა? ამით რა სიკეთე მიეცათ ბიზანტიელებს? თითქმის არაფერი! ბარბაროსმა ოსმალეთმა ერთის დაკვრით მოსპო მთელი მათი ცივილიზაცია!

ამიტომაც ქართველების საფიქრელი ისლა გაჩნდა, რომ საქართველო არ მოსპობილიყო არ განადგურებულიყო ქართველობა თავის კულტურით, და ნაციონალურის წესებით.

ამიტომაც მზე-ჭაბუკი სტამბოლში ყოფნის დროს, ფხიზლად იქცეოდა და მარჯვნივ და მარცხნივ აწუხებდა იქვე მცხოვრებ ევროპიელთ და საქართველოს სამფარველოდ ეძებდა შველას, რაიმე წამლის გამოძებნას.

იმ დროს კონსტანტინეპოლში თურმე მრავლად იყვნენ ლიუტერის სწავლის მიმდევარი პასტორები, რომელიც ლიუტერის სწავლას ავრცელებდა სლავიანთა და თავიანთ თანამემამულეთა შორის. შემთხვევით, ასეთი პასტორები გააცნო სამცხის ათაბაგმა მზე-ჭაბუკმა ამათ გაცნობის ისტორიულ მასალებს ჩვენ ისევ და ისევ სამცხის ქართველ-კათოლიკეთა მისიონერები იძლევიან, სხვაგან ჩვენ ვერასა ვპოვებთ, ამისათვის ისევ ამ მისიონერების დღიურები უნდა გადავშალოთ.

1880 წ. მესხეთსა და ჯავახეთში მგზავრობის დროს ვიშოვნე ლათინის წესის ქართველ კათოლიკეთა მისიონერ-პატრის ერთი დღიური, რომელიც ამ საგნის შესახებ იძლეოდა საინტერესო ცნობებს. ეს ძვირფასი დღიური მე ვნახე სოფ. ხიზაბავრას, მღვ. ივ. გვარამაძე—ვინმე მესხთან

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

---

## ქართული სტამბის, ბედი XIX საუკ.*)

ქართული სტამბა გაიხსნა თბილისში 1705წ—1723წ მუშაობდა—1737—1744 წ. მოსკოვში გაიმართა ბაქარ მეფის ბრძანებით და შვიდ წელიწადს მუშაობდა ვახუშტი ბატონიშვილის და იოსებ სამებელის (ქობულაშვილის) ზედამხედველობით.

1746 წ. ისევ განახლდა თბილისში და 1754 წლამდე მუშაობდა.

1758—1769 წ. მოსკოვში გახსნა მშვენიერი სტამბა მიტროპოლიტმა ათანასი ამილახვარმა. 1762—1800 წლამდე ერეკლე მეფის ბრძანებით ორი სტამბა მუშაობდა თბილისში. მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ სტამბის მუშაობისათვის თავი ხელთ ალარავისა ჰქონდა, რაკი სტამბის გამგებელნი, გულშემატკივარნი და ხელოსანნი ზოგი დაიხოცნენ და ზოგნი აქეთ-იქით განიბნინენ „შიშისათვის ახალის მოხელეებისა“. დედოფალნი, მეფის ძენი და ასულნი რუსეთში გადასახლებულ იქმნენ. სტამბები დაიხურნენ და მათი მოწყობილება ერთიანათ შტაბის უფროსმა ჩაიბარა თ. ციციაშვილის ბრძანებით. 1803—1804 წ. დაიბეჭდა დეკანოზის იასე ჩუბინიძის მიერ შედგენილი გრამმა-

*) წაკითხულია ისტ. ეთნოგრ. საზოგად. კრებაზედ 1914 წ. მაისში.

ტიკა ხუცურ მხედრული შრიფტით, აგრეთვე იოანე ქართველოვისა — ახლათ გახნილ კეთილშობილთა სასწავლებელში — სახმარებლათ. ჰბეჭდავდნენ საჭირო განცხადებებსა, უქაზებსა და სტამბის მუშათა საბოლოოთ მალე მოსპეს. მაგრამ როგორც წინდაუხედავათ დაკეტეს მშვენიერათ მოწყობილი, იმ დროჲს შესაფერათ, სტამბა,—ეგრე მალე დაჰჭირდათ იმისი ხელ ახლა გახსნა მთავარმართებლის ციციშვლის ავან-ჩავანი იყო ყიზლაარელი ალექსი დეკანოზი პეტრიაშვილი, რომლის სურვილ-წადილების წმინდათ აღმასრულებელი მთავარმართებელი იყო.

პირად მოლაპარაკების შემდეგ პეტრიაშვილმა მოახსენა ციციშვილს 17 იანვარს 1805 წ. ,,ამ განახლებულ სტამბაში და საბეჭდი წიგნები უნდა ითარგმნოს რუსულიდან ქართულათ და ხანდახან იქნება ქართულითგანაც საჭირო იყოს თარგმნა ზოგიერთი წიგნებისა რუსულათ. ამისთვის საჭიროა ქართულ-რუსულ ენების ზედმიწევნით მცოდნე მთარგმნელები. სხვა საჭიროებათა რომ თავი დავანებოთ, ვისაც ეს საქმე მიენდობა, იგი თქვენის ბრწყინვალების მიერ უყურადღებოთ არ უნდა იქნენ დატოვებულნი, ვინაიდგან რაც რუსულიდგან ქართულათ, ან ქართულიდგან რუსულათ დღემდე ნათარგმნი წიგნები შენახულან, ზოგნი სრულიათ არ ვარგანან, დანარჩენნი კიდევ საჭიროებენ არა მცირედსა შესწორებასა და ამიტომ ვისაც მოუხდება მათი შესწორება ან ხელ-ახლა თარგმნა—არა მცირე და გამუდმებული შრომა მოელით. უკეთუ თქვენი ბრწყინვალება ამა თანამდებობისათვის ღირსად მცნობს, მე, რა თქმა უნდა—მათზედ მე უარს არ მოგახსენებთ, მსურს რა დავამტკიცო ჩემი ერთგულება საზოგადოჲსა სარგებლობისათვის. ამა საქმეში დამხმარებლად საჭიროთა ვრაცხავ 1 კლასსის მასწავლებელს, მღვდელს იოანე ქართველოვს, ქართული ენის კარგად მცოდნეს, და ერთს გადამწერს. შემდეგ ამისა კვლავ გავბედავ მოგახსენო შემდეგი: "აქაურის სამღვდელოების დაუდევრობა და უთავბოლობა თქვენს ბრწყინვალებასა კარგად მოეხსენება. მე, რასაკვირველია, ვერ გავბედავ ვიფიქრო, რომ ერთმა ჩემისთანამ როგორიც ვარ—შესძლოს ყველაფერი წესზედ დააყენოს, როდესაც თქვენის ბრწყინვალების არა ერთგზის მოთხოვნილებით ეპარქიის მღვდელმთავრებმა ეკლესიებისა და სასულიერო წოდების შესახები უბრალო ცნობებიც კი ვერ წარმოადგინეს. ხომ არ ინებებს თქვენი ბრწყინვალება უბრძანოთ აქაურ სამღვდელოების გამგებელს კათალიკოზს ანტონს დიკასტერიის წევრად განმაწესოს, რომელიც მარტო ცარიელი სახელით არსებობს, ხოლო თუ შეიძლება—ერთ-ერთი ეკლესიაც მომეცეს მე მოსავლელათ". იმ გაჭირვების დროს ამისთანა ჭირისუფალი საზიზღარი კაცუნები მრავლად მოევლინენ ჩვენს წამებულსა სამშობლოს პეტრიაშვილისთანა გაიძვერა მაბეზღრებმა ციციშვილი სანთლით ეძებდა და მისი მოადგილენიც. შემდეგ პეტრიაშვილმა გადაჰკიდა ერთმანეთს თბილელმიტროპოლიტი არსენი ანტონ კათალიკოზს, ვარლამს, დოსითეოზს და სხ პეტრიაშვილები პეპელებივით გარს ეხვივნენ ციციშვილს და მათმა ენაწყლიანობამ, ენაჭარტალობამ საქართველო შებილწა და მიწასთან გაასწორა. პატიოსანი მუშაკნი მამულისშვილნი თოფის კონდახის ცემით გამოარეკინეს სტამბებითგან, ზარაფხანითგან, ზოგნი რუსეთისკენ გააძევეს, ზოგნი ციხეში ტუსაღობაში დაიხოცნენ.

რაკი თბილისში სტამბები დაიკეტა ციციშვილის ბრძანებით და საეკლესიო წიგნთა ბეჭვდა შესდგა, სოლომონ იმერთა მეფემ მიიწვია თბილისითგან სტამბის ხელოვანნი ოსტატნი — ზაქარია არხიმანდრიტი (გურგენიძე, დავით გარეჯაში აღზრდილი), რომანოზ რაზმაძე—ზუბაშვილი, გახსნეს 1803 წ. მშვენიერი სტამბა და შეუდგნენ საეკლესიო წიგნთა ბეჭვდასა. იმერთში სტამბა ჯერ ქუთაისში მუშაობდა, მერე საჩხერეში, ბოლოს რაჭაში ს. წესში და 1821 წლამდე იმუშავა ტანჯვა-ვაებითა.

(შემდეგი იქნება.)

# რუსეთი.

საზონოვის გადაყენება გამოწვეული ყოფილა იმ გარემოებით, რომ ბოლო დროს პოლონეთის საკითხში საზონოვის და შტიურმერის შორის დიდი აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა.

— —

შტიურმერს უთქვამს საგარეო პოლიტიკის მიმართულება წინანდელივე დარჩებაო.

— —

მილიუკოვმა და თ დ. ლვოვმა საზონოვს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნეს.

— —

პეტროგრადში კვლავ სწარმოებს ზოგიერთ შეძლებულ პირთა და არისტოკრატთა შორის ჩხრეკა.

— —

მინისტერთა საბჭოს სხდომაზე გადაუწყვეტიათ, სახელმწიფო სათათბიროში შეიტანონ პროექტი დაბალ და საშუალო სასწავლებლებში გერმანულ ენის სწავლების გაუქმება.

## უცხოეთი.

ირლანდიის ავტონომიის საკითხი კვლავ გამწვავდა ულსტერელი ნაციონალისტები და უნიონისტები დიდ წინააღმდეგობას უწევენ ავტონომიის განხორციელებას.

— —

ირლანდიელ ნაციონალისტების ლიდერს რედმონტს მიუწერია ასკვიტისათვის, გომრულის გადადებამ და ლენსდოუნის სიტყვამ ძალიან დააფიქრა ირლანდიელები და ეს უეჭველია ხელმეორედ აჯანყებას გამოიწვევსო.

— —

ამას წინად ცნობა იყო, რომ უნგრეთის ოპოზიციურ პარტიის ლიდერი კაროლი პარტიიდან გავიდა. ეხლა მას საკუთარი პროგრამა გამოუმუშავებია, რომელშიაც შედის: უნგრეთის ავსტრიისაგან სრული დამოუკიდებლობა, საკუთარი ჯარის ყოლა და საყოველთაო საარჩევნო უფლება.

— —

ამ ბოლო ხანებში რუსოფილ პოლონელთა რიცხვი ძალიან შემცირებულა პოლონელთა შორის ეს მომხდარა რუსების გალიციიდან გამოდევნის შემდეგ.

# ღია წერილი

### ვაჟა-ფშაველას სახელობაზე დაარსებულ კომისიის წევრთადმი.

გაზეთ „სამშობლო"-ს 402 № ის „ახალ ამბებში" ზემოხსენებულ ბიბლიოთეკის შესახებ მოთავსებულია რამდენიმე ცნობა, რომელთა შესახებ მეც მინდა გამოვსთქვა ჩემი აზრი, რადგანაც ეს ამბები მეხება მე, როგორც დასახელებულ კომისიის თავჯდომარეს თუ ვინმე დაინტერესდება და გადაიკითხავს კომისიის ოქმებს №№ 1, 2, 3, 4, 5, 9, 10, 12, 13 და 15 ს, თვალსაჩინოდ დაინახავს, რომ კომიტეტს (და არა მარტო მიქაბერიძეს) ჯერ ვერ მოუხერხებია სამკითხველოსათვის ვერც ოთახის დაქირავება და ვერც შენობის დაწყება", მაგრამ ამ ოქმებიდან სრულებითაც არა სჩანს, რომ „მიზეზი ამისა კომიტეტის წევრთა და თავჯდომარის შორის უთანხმოება" იყოს.

ვინც ზემოაღნიშნულ ოქმებს დაკვირვებით წაიკითხავს, ის, თუ კი სიმართლისადმი მტრულის განწყობილებით არ არის გაჟღენთილი უსათუოდ დაასკვნის, რომ კერძოდ თავჯდომარე ან რომელიმე სხვა წევრი აქ არაფერ შუაშია, „ბიბლიოთეკის შესახებ" თავჯდომარის და წევრთა შორის უთანხმოება არ არსებობს და ვერც იარსებებდა, რადგანაც საკითხების სწყვეტს არა მარტო თავჯდომარე, ან რომელიმე წევრი, არამედ კომიტეტის უმრავლესობა, როგორც ეს ჩვეულებათ არის ხოლმე ყოველ ამგვარ კოლეგიალურ დაწესებულებაში.

უთანხმოება მარტო კომიტეტის წევრთა უმრავლესობისა და უმცირესობის შორის არსებობს და ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც შექმნილ გარემოებათა აწონ დაწონვისა და მათის მიხედვით საზოგადო საქმეებისათვის კეთილად ზრუნვის უნარი ყველას ერთნაირად როდი აქვს*).

თავჯდომარისა და ზოგიერთ წევრთა შორის მარტო განსაკუთრებული ხასიათის უსიამოვნებანი არსებობენ, ისეთი უსიამოვნებანი, რომელთაც კომიტეტის საქმეების საერთო მსვლელობაზე არავითარი გავლენა არა აქვთ. არსებული „ჩვეულებრივი" უსიამოვნებანი, სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ კრებებს აჭიანურებდენ, ეხლა კი, თავმჯდომარისაგან შესაფერ ზომების მიღებით, ესეც მოისპო.

კომიტეტში, თავჯდომარის გარდა, 16 წევრია და თავჯდომარე ყველას ერთნაირად ვერ ასიამოვნებს, მით უმეტეს, რომ მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც კრებებზე მუდამ დაუსრულებელი ლაპარაკის სადღეღელი აქვთ აშლილი მათი მრწამსი ასეთია: ან მარტო თვითონ უნდა ლაპარაკობდენ, ან წამდაუწუმ სხვებს პირში უნდა ეჩრებოდენ. სხვანაირად გაძლება მათ არ შეუძლიათ. მოწმად მოვიყვან ბ-ნ მელიტონ დოლაბერიძეს (ქართვ. შორის წ. კ. გამავრც. საზ. წარმომადგენელს).

მხოლოდ ლაპარაკის მოყვარე წევრთა ალაგმვა თავჯდომარეს არა ერთხელ ზოგიერთმა წევრმაც ურჩია მაგრამ ის არა ჩქარობდა, და ხშირად კერძოდ ესაუბრებოდა მათ უადგილო საქციელზე. და მოითხოვდა მათგან უკვე ჩადენილ ცოდვების შესახებ სინანულსა და მომავალში გასწორებას. ზოგმა მათგანმა ბოდიშის მოხდაც-კი აღუთქვა მას კომიტეტის წინაშე, მაგრამ დაპირება არც ერთმა მათგანმა არ შეასრულა. პირ იქით: ერთი მათგანი მიუხტა ბინაზე თავჯდომარეს მისი თბილისში ყოფნის დროს და საჯაროდ უმიზეზოდ დასძვა გინებით ავად. კომიტეტის ამ წევრს ამით მეორედ უცხადებ, რომ, თუ ის კომიტეტის წინაშე ბოდიშს არ მოიხდის, მე ისე მოვექცევი, როგორც პირველად აღუთქვი. ჩემი მოვალეობის ასრულების დროს ჩემ შეურაცხმყოფელს-კი მოვახსენე თავის დროზე, რომ მე მათ თავხედობაზე თავხედობითვე ვერ ვუპასუხებ, რადგანაც საზოგადო საქმეს პირად ინტერესებს ვერ შევწირავთქო.

რაც შეეხება ბ. ბზვანელისადმი უნიადაგო თხოვნით უცნობის მიმართვას, მე მგონია, ბ. ბზვანელი ისეთი გაუგებარი კაცი არ უნდა იყოს, რომ თავისი მოვალეობა ნათლად არ ჰქონდეს გათვალისწინებული: ჩემის ღრმა რწმენით, მისი მოვალეობა, როგორც მთავრობის წინაშე პასუხის მგებლისა, უმეტეს ნაწილად, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მან უკვე გახსნილ ბიბლიოთეკას ფხიზლად ადევნოს თვალ ყური, რომ მთავრობას საბაბი არ მისცეს სამკითხველოს უდროოდ დახურვისა.

როგორც კომიტეტში ამორჩეული წევრი, ისე რასაკვირველია, საზოგადოებასაც ემსახურება, მაგრამ არა კომიტეტის გარეშე და არა მის დაუკითხავად, არამედ მასთან ერთად ან მისგან დავალებულ საქმის ასრულებით: აი, სწორედ ისე, როგორც ეხლა აქვს მას ბედნიერი შემთხვევა პირნათლად შეასრულოს კომიტეტის მინდობილობა.

როგორც კომიტეტის უკანასკნელ, 2 ივლისის, ოქმიდანა სჩანს, ის, დ. ნაცვლიშვილი, მამა ს. შუაბლაძესა და ს მარჯანიშვილთან ერთად არჩეულია იმ კომისიაში, რომელმაც დაუყონებლივ უნდა დაიქირაოს ბინა და შიგ სამკითხველო გახსნას.

ამ კომისიამ ბინა უკვე აირჩია და მის პატრონს ჩემი თანადასწრებით კიდეც გაურიგდა წელიწადში თოთხმეტ თუმნად. ერთი თუმანი ბე მე თვითონ ჩავაბარე სახლის პატრონს. სამიოდე დღის შემდეგ კომისია ჩემის თანხლებით ისევ მივიდა სახლის პატრონთან პირობის დასაწერად და დანარჩენ ოთხი თუმნის წინდაწინ ჩასაბარებლად, მაგრამ ამ დროს საიგანდაც გაჩნდენ კომიტეტის წევრნი კ ჩხაიძე, პ. კოსტავა და ვ. თევდორაძე და კომისიას ხელი შეუშალეს კომიტეტისაგან დავალებულ საქმის შესრულებაში. ბინის დამქირავებელმა და მასში სამკითხველოს მომწყობმა კომისიამ ხელის შემშლელებს, როგორც მახსოვს, სამი დღით მოცდა აღუთქვა, მაგრამ მას აქეთ უკვე ერთი კვირა გავიდა, და, როგორ მიდის საქმე, არ ვიცი.

უმორჩილესად ვსთხოვთ აღნიშნულ კომისიის წევრთ, დროზე შემატყობინონ, ასრულებენ თუ არა ისინი კომიტეტისაგან დავალებულ საქმეს. თუ აღმოჩნდება, რომ კომისია არ აპირობს დაქირავებულ სახლში ბიბლიოთეკის გახსნას, მაშინ მან კეთილ ინებოს და მალე დამიბრუნოს ბინის პატრონისადმი ბედ ჩაბარებული ერთი თუმანი, რათა მე ის ასი მანეთი, რომელიც კომისიის ორი წევრის დავალებით (ს. მარჯანიშვილი ავად იყო მაშინ) ბინის დასაქირავებლად და მასში სამკითხველოს მოსაწყობად ჩემ ფულთან ერთად ბანკიდან გამოვიტანე, დაუყონებლივ ბანკშივე დავაბრუნე. ქუთაისი, 14 ივლისი 1919 წ.

ვაჟა-ფშაველას სახელობაზე დაარსებულ (როდის დაარსდება, ნეტავი) ბიბლიოთეკის მზრუნველი კომიტეტის თავჯდომარე—ა. მიქაბერიძე.

P. S. რაც შეეხება გაზეთის იმავე № ში მოთავსებულ კ. ჩხაიძის საყვედურით შეზავებულ წერილს, შეიძლება, მეც მალე გავცე შესაფერისი პასუხი. ა. მ.

*) ჩვენი მოამბეც ამასვე იძახის, რაც სასურველი არ არის, თუმცა ბ-ნი მიქაბერიძე თავისებურად ხსნის ამ არა ნორმალურ მოვლენას. **რედ.**

# სტ. ვლ. გუბელაძეს.

გაზ. „სამშობლოს" 405-№-ში მოთავსებულია თქვენი წერილი „ჩემი პასუხი უმწიკვლოებს". ამ თქვენს წერილში, ერთი საბუთი, რომელიც მოგყავთ გრ. პატარაიას წინააღმდეგ ყოველივე სიმართლეს მოკლებულია. ნირენბერგთან მქონდა საქმე მე და არა გრ. პატარაიას ხოლო რა საქმე მქონდა, ეს არავისთვის საინტერესო არ არის, მით უმეტეს, რომ ნირენბერგის მიერ მოცემული ქაღალდი თავიდან ბოლომდე სიცრუეზეა აგებული ის ქაღალდი თქვენ მე პირადათ მაჩვენეთ ხარკოვში და მე მაშინვე გითხარით, რაშიც იყო საქმე, და აგიხსენით, რომ გრ. პატარაია აქ არაფერ შუაშია მეთქი. მიუხედავათ ამისა, თქვენ მაინც დაჟინებით გაიძახით და სრულიად დაუმსახურებელ ბრალდებას უყენებთ სტ. გრ. პატარაიას.

სტ იდ. ჟღენტი.

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულათ უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

liedesgaden für die. Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensiugnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banbue populaire Suisse, Fond Russepour des prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროსაგან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное suisse. recommandée Comite international de Ia Croix rouge Agence des prisonniers be guerre Genéve.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. | 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. | 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. | 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. | 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. | 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. | 50 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს | 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. | — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. | 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. | 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. | 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. | 20 „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. | 20 „ |

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასევაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სა'მელ-საჭმელი ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

## გრანული ექ. გლეზისა.

**გრანული ექ. გლეზისა** მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ —სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდევ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

**გრანული** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვლს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ვრთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.